ევროპული კონვენცია ავტოსატრანსპორტო საშუალებათა მიერ მიყენებულ ზიანზე სამოქალაქო პასუხისმგებლობის შესახებ

პრეამბულა

ქვემორე ხელისმომწერნი, ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოები,

ითვალისწინებენ რა, რომ ევროპის საბჭოს მიზანია წევრ სახელმწიფოთა შორის უფრო დიდი ერთობის მიღწევა;

ითვალისწინებენ რა, რომ საგზაო მოძრაობის მყარმა ზრდამ გამოიწვია ავტოსაგზაო შემთხვევათა რაოდენობის გაზრდა და რომელიც საჭიროებს ზიანზე პასუხისმგებლობის სისტემის გამოსწორებას;

ითვალისწინებენ რა, რომ დღეისათვის საერთაშორისო საგზაო მოძრაობა ექვემდებარება პასუხისმგებლობის სამართლებრივ სისტემებს, რომლებიც თითოეულ ქვეყანაში ერთმანეთისაგან განსხვავდებიან;

ითვალისწინებენ რა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით კანონმდებლობა საჭიროებს ჰარმონიზაციას და მსხვეპლთა მდგომარეობის გამოსწორებას,

შეთანხმდნენ შემდეგზე,

მუხლი 1 – ხელშემკვრელ სახელმწიფოთა მოვალეობები

1. თითოეული ხელშემკვრელი სახელმწიფო შესაბამისობაში მკოიყვანს თავის შიდა კანონმდებლობას წინამდებარე კონვენციის დებულებებთან, არაუგვიანეს ამ სახელმწიფოს მიმართებაში კონვენციის ძალაში შესვლის თარიღისა.

2. თითოეული ხელშემკვრელი სახელმწიფო, არაუგვიანეს ამ სახელმწიფოს მიმართებაში კონვენციის ძალაში შესვლის თარიღისა, მიაწოდებს ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს, ნებისმიერ მიღებულ დოკუმენტს ან იმ არსებული კანონმდებლობის შესახებ განცხადებას, რომელსაც ივი ეყრდნობა წინამდებარე კონვენციის დებულებების იმპლემენტაციის მიზნით, მათ შორის ნებისმიერ შესაძლებლობას, რომელსაც სახელმწიფო იღებს თავისთავზე.

მუხლი 2 – კონვენციის მასშტაბი

წინამდებარე კონვენცია გამოიყენება ავტოსატრანსპორტო საშუალების მიერ მიყენებულ ზიანზე სამოქალაქო პასუხისმგებლობის მიმართ, რომელიც გამოწვეულია საგზაო მოძრაობასთან დაკავშირებულ ავტოსაგზაო შემთხვევით. თუმცა, თითოეულ ხელშემკვრელ სახელმწიფოს შეუძლია შეზღუდოს კონვენციის გამოყენება საჯარო გზატკეცილზე მოძრაობასთან დაკავშირებულ ავტოსაგზაო შემთხვევებამდე და საზოფადოებისათვის ღია ტერიტორიებამდე.

მუხლი 3 – განმარტებები

1. წინამდებარე კონვენციის მიზნით:

ა) „ავტოსატრანსპორტო საშუალება“ ნიშნავს ავტოსატრანსპორტო საშუალებას, რომელიც მამოძრავებელი ძალისათვის უზრუნველყოფილია ძრავით და განკუთვნილია მიწაზე მოძრაობისათვის, გარდა ჰაერში მოძრავი ჰაერის ბალიშზე ხომალდისა.
ბ) ავტოსატრანსპორტო საშუალებასთან მიმართებაში „შემნახველი“ ნიშნავს პირს, რომელიც აკონტროლებს ავტოსატრანსპორტო საშუალების გამოყენებას. პირი ვის სახელზეც რეგისტრირებულია ავტოსატრანსპორტო საშუალება ან რეგისტრაციის არარსებობის შემთხვევაში ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელი ჩაითვლება ავტოსატრანსპორტო საშუალების გამოყენების მაკონტროლებლად, თუ საწინააღმდეგო არ არის დადასტურებული. ავტოსატრანსპორტო საშუალების შეთხვევითი მომხმარებელი არ იქნება განხილული როგორც მანქანის მაკონტროლებელი, თუ მან ავტოსატრანსპორტო საშუალება ხელში ჩაიგდო არალეგალურად. თუმცა, თითოეულ ხელშემკვრელ სახელმწიფოს შეუძლია წინამდებარე ქვეპუნქტის დებულებები შეასრულოს იმ სახეცვლილებებით, რომლებსაც იგი მიიჩნევს საჭიროდ.

2. წინამდებარე კონვენციის მიზნებისათვის, ავტოსატრანსპორტო საშუალების მიერ გამოწვეული ზიანი შეიცავს ზიანს, რომელიც გამოწვეულია მისაბმელი საშუალებით ან ნებისმიერი სხვა ობიექტით, რომელიც ავტოსატრანსპორტო საშუალებასაა მიმაგრებული ან ნებისმიერი ტრანსპორტირებული ობიექტით, იმ შემთხვევაშიც კი თუ იგი შემთხვევით არის ჩამოხსნილი.

მუხლი 4 – პასუხისმგებლობის პრინციპი

1. ავტოსატრანსპორტო საშუალების შემნახველი პასუხისმგებელი იქნება ზიანისათვის, რომელიც ავტოსატრანსპორტო საშუალების მიერ არის გამოწვეული, წინამდებარე კონვენციის შეზღუდვების გათვალისწინებით.

2. თითოეულ ხელშემკვრელ სახელმწიფოს შეუძლია უზრუნველყოს დამზღვევის პირდაპირი პასუხისმგებლობა იყოს მთლიანად ან ნაწილობრივად შეცვლილი შემნახველის პასუხისმგებლობით წინამდებარე კონვენციის თანახმად, მსხვერლპის იგივე ხარისხით დაცვის უზრუნველყოფით, როგორიც იქნებოდა შემნახველის პასუხისმგებლობის შემთხვევაში.

მუხლი 5 – ზიანისათვის მსხვერპლის მიერ ხელშეწყობა

1. მსხვერპლისათვის ან დაზარალებული პირისათვის გათვალისწინებული ანაზღაურება შეიძლება იყოს შემცირებული ან საერთოდ არ იყოს დაშვებული თუ მსხვერპლმა ან დაზარალებულმა პირმა, გარდა ავტოსაგზაო შემთხვევაში მონაწილე ავტოსატრანსპორტო საშუალების შემნახველისა დაუშვა შეცდომა რომლითაც ხელი შეუწყო ზიანის დადგომას მე-9 მუხლში მითითებული ავტოსაგზაო შემთხვევის გარემოებების მიხედვით.

2. იგივე გამოიყენება, როდესაც ზიანისადმი ხელშეწყობა გამოწვეულია იმ გარემოებებით, როდესაც მსხვერპლი ან დაზარალებული პირი იქნებოდა პასუხისმგებელი მიუხედავად მის მიერ დაშვებული შეცდომისა.

მუხლი 6 – ორი ან მეტი შემნახველის პასუხისმგებლობა მესამე მხარეებთან

1. როდესაც ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად, რომელიც გამოწვეული იყო ორი ან მეტი ავტოსატრანსპორტო საშუალების მიერ, ავტოსატრანსპორტო საშუალებების მონაწილე

შემნახველების გარდა დაზიანდნენ სხვა პირები, ზიანის გამომწვევი ავტოსატრანსპორტო საშუალებების თითოეულ შემნახველს მე-8 და მე-10 მუხლების დებულებების გათვალისწინებით დაეკისრება სრული პასუხისმგებლობა (in solidum).

2. ამ შემთხვევაში პასუხისმგებელ შემნახველთა შორის ურთიერთობაში ზიანი ზომიერად განაწილდება თითოეული ავტოსატრანსპორტო საშუალების მიერ მიყენებული ზიანის მიხედვით.

მუხლი 7 – შემნახველებისთვის მიყენებული ზიანი

როდესაც, ავტოსავზაო შემთხვევის შედეგად დაზიანდა ერთი ან მეტი მონაწილე ავტოსატრანსპორტო საშუალებების შემნახველი, ავტოსატრანსპორტო საშუალებების მიერ მიყენებული ზიანის მიხედვით თითოეული პასუხისმგებელი შემნახველი პსუხისმგებელი იქნება მხოლოდ მის მიერ მიყენებული ზიანის წილისათვის. თუმცა, თითოეულ ხელშემკვრელ სახელმწიფოს შეუძლია ნაწილობრივად გააუქმოს ეს წესი და დააკისროს სრული პასუხისმგებლობა (in solidum).

მუხლი 8 – შემნახველთა სრული პასუხისმგებლობისათვის გამონაკლისები

1. რაც შეეხება ზიანს, რომლისათვის წინამდებარე კონვენციის მე-10 მუხლის ან შიდა კანონმდებლობით დაშვებული კონტრაქტის პირობების მიხედვით ავტოსატრანსპორტო საშუალების შემნახველი არ არის პასუხისმგებელი,

2. როდესაც ავტოსატრანსპორტო საშუალების შემნახველი პასუხისმგებელია ავტოსატრანსპორტო საშუალების მძღოლისათვის მიყენებული ზიანისათვის თითოეულ ხელშემკვრელ სახელმწიფოს შეუძლია სხვა ავტოსატრანსპორტო საშუალებების შემნახველებისათვის უზრუნველყოს, რომლებმაც ხელი შუწყვეს ზიანის დადგომას არ იქნებიან პასუხისმგებლები ზიანის წილისათვის, რომელიც მოდის აღნიშნულ შემნახველზე.

მუხლი 9 – შემნახველთა შორის პასუხისმგებლობის განაწილება

1. წინამდებარე კონვენციის მიზნებისათვის ავტოსატრანსპორტო საშუალების მიერ მიყენებული ზიანი განისაზღვრება ვტოსავზაო შემთხვევის გარემოებების გათვალისწინებით როგორიცაა, მძღოლის ან მგზავრის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება, გამართლებული საფრთხე, ან ავტოსატრანსპორტო საშუალების არასწორი მოქცევა, ნებისმიერი ყველაფერი რის შედეგადაც იგი შეიძლება იყოს გამოწვეული, მაგალითად, ავტოსატრანსპორტო საშუალების გაუმართაობა, მესამე მხარის ჩარევა, ან ბუნებრივი მოვლენა გარდა გამონაკლისი ხასიათის მძიმე ბუნებრივი კატასტროფა.

2. იმ შემთხვევაში თუ გარემოებები სხვანაირად არ მიუთითებენ, ავვტოსატრანსპორტო საშუალებების მიერ მიყენებული ზიანი თანაბრად განაწილდება.

3. იმ შემთხვევაში თუ ზიანის წილი, რომლისათვის შემნახველი არის პასუხისმგებელი არ ემქვემდებარება აღდგენას დამზღვევისაგან ან საგარანტიო ფონდისაგან ან მსგავსი ორგანოსაგან იგი იქნება ამოღებული სხვა შემნახველთა ავტოსატრანსპორტო საშუალებების მიერ მიყენებული ზიანის პროპორციის მიხედვით.

მუხლი 10 – ზიანის გამორიცხვა

1. ავტოსატრანსპორტო საშუალების შემნახველი არ აიღებს პასუხისმგებლობას.

2. თითოეულ ხელშემკვრელ სახელმწიფოს შეუძლია უზრუნველყოს ის რომ ავტოსატრანსპორტო საშუალების შემნახველი წინამდებარე კონვენციის მიხედვით არ იქნება პასუხისმგებელი ავტოსატრანსპორტო საშუალების მძღოლისათვის მიყენებული ზიანისათვის.

მუხლი 11 – გამონაკლისები კონვენციის გამოყენებისათვის

1. წინამდებარე კონვენცია არ გამოიყენება:

ა) ზიანზე, რომელიც გამოწვეულია ავტოსატრანსპორტო საშუალების მხოლოდ, როგორც არასატრანსპორტო საშუალების გამოყენების მიზნით;
ბ) ატომური ზიანის მიმართ;
გ) შეიარაღებული კონფლიქტის, სამხედრო მოქმედებების, სამოქალაქო ომის, ამბოხების ან განსაკუთრებული ხასიათის ბუნებრივი კატასტროფის შედეგად დამდგარი ზიანის მიმართ.

2. თითოეულ ხელშემკვრელ სახელმწიფოს ექნება გათვალისწინებული პირობა, რომლის თანახმად წინამდებარე კონვენციის მოქმედება არ გავრცელდება განსაზღვრულ კატეგორიათა ავტოსატრანსპორტო საშუალებების მიერ მიყენებულ ზიანზე, რომლებიც საგზაო მოძრაობისათვის არ ქმნიან დიდ საფრთხეს, მაგალითად, ქვეითად მოსიარულთა მიერ კონტროლირებადი ავტოსატრანსპორტო საშუალებები, გარკვეული სასოფლო-სამეურნეო მანქანები და დაბალი სიმძლავრის და სიჩქარის მოპედები.

მუხლი 12 – შიდა კანონმდებობის მიერ გადასაწყვეტი საკითხები

1. თითოეული ხელშემკვრელი სახელმწიფოს მიერ გადასაწყვეტი საკითხებია:

ა) ანაზღაურების ოდენობის ბუნება, ფორმა, ხარისხი და ნებისმიერი შეზღუდვები;
ბ) შემნახველთა გარდა სხვა პირების მიმართ მიყენებული ზიანისათვის მოქმედებები და კონტრქმედებები წაყენებული მის მიერ ან მის წინააღმდეგ;
გ) კონტრქმედებები წაყენებული შემნახველთა მიერ სხვა შემნახველისათვის მიყენებული ზიანის წილისათვის, რომლისთვისაც ისინი გახდნენ პასუხისმგებელნი მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად;
დ) დანაშაული შეიძლება იყოს ანულირებული ან ანაზრაურება შეიძლება იყოს შემცირებული დანაშაულის ან პირის, რომელიც დაზიანდა გამონაკლისი რისკის მიღების გამო, ან მძღოლის სისხლისსამართლებრივი ქმედების ან მისი თანხმობის გამო ასეთ დანაშაულზე.

2. თითოეულ ხელშემკვრელ სახელმწიფოს შეუძლია ავტოსაგზაო შემთხვევაში მონაწილე ავტოსატრანსპორტო საშუალების შემნახველს მთლიანად ან ნაწილობრივად დაუკავშიროს ავტოსაგზაო შემთხვევაში მონაწილე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც პასუხისმგებელია შიდა კანონმდებლობის მიხედვით, ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დამდგარი ზიანისათვის ბრალის მიუხედავად.

3. თითოეულ ხელშემკვრელ სახელმწიფოს შეუძლია ნაწილობრივად გააუქმოს წინამდებარე კონვენცია, რათა გამოირიცხოს კონფლიქტი ამ სახელმწიფოს მოსამსახურეთა პერსონალისათვის ანაზღაურების შესახებ კანონთან და სოციალური დაცვის სქემასთან.

მუხლი 13 – გავრცობილი დაცვა და გამოყენება

წინამდებარე კონვენცია ხელშემკვრელ სახელმწიფოებს არ უკრძალავს:

ა) დაზიანებულ პირებისათვის უფრო ხესაყრელი წესების შემოღებას, გარდა პასუხისმგებელ შემნახველთა შორის ურთიერთობისათვის;
ბ) კონვენციის წესების გამოყენებას იმ ავტოსაგზაო შემთხვევების, ზიანის ან სატრანსპორტო საშუალებების მიმართ, რომლებიც წინამდებარე კონვენციით არა არის განსაზღვრული.

მუხლი 14 – კონვენციის ძალაში შესვლა

1. წინამდებარე კონვენცია ღიაა ხელმოსაწერად ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოებისათვის. იგი ექვემდებარება რატიფიცირებას ან მიღებას. რატიფიცირების ან მიღების ინსტრუმენტები დეპონირებულ იქნება ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანთან.

2. წინამდებარე კონვენცია ძალაში შევა, რატიფიცირების ან მიღების მესამე ინსტრუმენტის დეპონირების დღიდან ექვსთვიანი პერიოდის შემდეგ.

3. ხელმომწერ სახელმწიფოსთან მიმართებაში კონვენციის რატიფიკაცია ან შესაბამისად მირება ძლაში შევა რატიფიკაციის ან მიღების ინსტრუმენტის დეპონირებიდან პირველ დღეს 6 თვიანი ვადის გასვლის შემდეგ.

მუხლი 15 – ევროპის საბჭოს არა-წევრი სახელმწიფოს მიერ წინამდებარე კონვენციასთან მიერთება

1. წინამდებარე კონვენციის ძალაში შესვლის შემდეგ, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს შეუძლია მოიწვიოს ევროპის საბჭოს არა-წევრი სახელმწიფოები მიუერთდნენ კონვენციას.

2. ამგვარი მიერთება ხორციელდება ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანთან მიერთების ინსტრუმენტის დეპონირების გზით და რომელიც ძალაში შევა მისი დეპონირების დღიდან ექვსი თვის შემდეგ.

მუხლი 16 – კონვენციის ტერიტორიული მასშტაბი

1. ნებისმიერ ხელშემკვრელ სახელმწიფოს ხელმოწერისას ან რატიფიცირების, მიღების ან მიერთების შესახებ ინსტრუმენტების დეპონირებისას შეუძლია განსაზღვროს ის ტერიტორია, რომელზეც გავრცელდება წინამდებარე კონვენცია.

2. ნებისმიერ ხელშემკვრელ მხარეს რატიფიცირების, მიღების ან მიერთების დეპონირებისას ან ნებისმიერ შემდგომ პერიოდში, ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე გაკეთებული განცხადებით, შეუძლია გააფართოვოს წინამდებარე კონვენციის მოქმედება ნებისმიერ ტერიტორიაზე ან ტერიტორიებზე, რომელიც მითითებულია განცხადებაში და რომლის საერთაშორისო ურთიერთობების განხორციელებაზე იგი არის პასუხისგებელი ან რომლის სახელით იგი უფლებამოსილია იკისროს ვალდებულებები.

3. წინამორბედი პუნქტების შესაბამისად ნებისმიერი ტერიტორიის მიმართ გაკეთებული ნებისმიერი განცხადება, შესაძლებელია იქნას გამოთხოვილი წინამდებარე კონვენციის მე-19 მუხლში განსაზღვრული პროცედურების თანახმად.

მუხლი 17 – დათქმები

1. არანაირი დათქმა არ შეიძლება იქნას გაკეთებული წინამდებარე კონვენციის დებულებების მიმართ, წინამდებარე კონვენციის დანართში აღნიშნულის გარდა.

2. იმ ხელშემკვრელ სახელმწიფოს, რომელმაც გააკეთა წინამდებარე კონვენციის დანართში აღნიშნული დათქმა, შეუძლია გამოითხოვოს იგი ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე გაკეთებული განცხადების გზით, რომელიც ძალაში შევა მისი მიღების თარიღიდან.

მუხლი 18 – პირობების მიმართ განცხადებები

1. თითოეული ხელშემკვრელი სახელმწიფო, რომელსაც სურს დათანხმდეს ერთ-ერთ რომელიმე პირობაზე, რომელიც მოყვანილია მე-2 მუხლში, მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის b) ქვეპუნქტში, მე-4 მუხლის მე-2 პუნქტში, მე-7 მუხლში, მე-8 მუხლის მე-2 პუნქტში, მე-10 მუხლის მე-2 პუნქტში, მე-11 მუხლის მე-2 პუნქტში და მე-12 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებში წინამდებარე კონვენციის ხელმოწერისას ან რატიფიცირების, მიღების ან მიერთების შესახებ ინსტრუმენტების დეპონირების დროს, ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე გაკეთებული განცხადების გზით განაცხადებს ამის გაკეთებაზე მისი განზრახვის თაობაზე და რა გზით იგი აპირებს პირობის განხორციელებას.

2. იმ შემთხვევაში როდესაც ხელშემკვრელი სახელმწიფოს მიმართ წინამდებარე კონვენციის ძალაში შესვლის შემდეგ, სახელმწიფოს აუცილებლად მიაჩნია დათანხმდეს წინამორბედ პუნქტში აღნიშნულ ერთ-ერთ პირობაზე, იგი აცნობებს ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს ამის გაკეთებაზე მისი განზრახვის თაობაზე, შიდა კანონმდებლობის მიხედვით შესაბამისი დებულებების ძალაში შესვლამდე.

3. თითოეულ ხელშემკვრელ სახელმწიფოს ნებისმიერ დროს შეუძლია ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე გაკეთებული შეტყობინებით განაცხადოს, რომ მას აღარ სურს წინამორბედ პუნქტების შესაბამისად განხორციელებულ პირობაზე თანხმობა.

მუხლი 19 – კონვენციის მოქმედების ვადა და დენონსაცია

1. წინამდებარე კონვენცია მოქმედებს განუსაზღვრელი ვადით.

2. ნებისმიერ ხელშემკრელ სახელმწიფოს, რამდენადაც ეს მას ეხება შეუძლია მოახდინოს წინამდებარე კონვენციის დენონსაცია ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე გაკეთებული შეტყობინების გზით.

3. ამგვარი დენონსაცია ძალაში შევა გენერალური მდივნის მიერ ამგვარი შეტყობინების მიღების თარიღიდან ექვსი თვის შემდეგ.

მუხლი 20 – ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის ფუნქციები

1. ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი შეატყობინებს ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებს და წინამდებარე კონვენციათან მიერთებულ ნებისმიერ სახელმწიფოს:

ა) ნებისმიერი ხელმოწერის შესახებ;
ბ) რატიფიცირების, მიღების, ან მიერთების ნებისმიერი ინსტრუმენტის დეპონირების შესახებ;
გ) მე-14 მუხლის შესაბამისად წინამდებარე კონვენციის ძალაში შესვლის ნებისმიერი თარიღის შესახებ;
დ) მე-17 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად გაკეთებული ნებისმიერი დათქმის შესახებ;
ე) მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად გაკეთებული ნებისმიერი დათქმის გამოთხოვის შესახებ;

ვ) 1-ლი მუხლის მე-2 პუნქტის, მე-16 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების და მე-18 მუხლის 1-ლი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად მიღებული ნებისმიერი კორესპონდენციის შესახებ;
ზ) მე-19 მუხლის დებულებების შესაბამისად მიღებული ნებისმიერი შეტყობინების და დენონსაციის ძალაში შესვლის თარიღის შესახებ.

რის დასტურადაც, სათანადოდ უფლებამოსილმა პირებმა, ხელი მოაწერეს წინამდებარე კონვენციას.

შესრულებულია ქ. სტრასბურგში, 1973 წლის 14 მაისს, ერთ პირად, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე, ამასთან ორივე ტექსტი თანაბრად ავთენტურია, რომელიც ინახება ევროპის საბჭოს არქივში. ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი დამტკიცებულ ასლებს გადაუგზავნის თითოეულ ხელისმომწერ და მიერთებულ სახელმწიფოს.

დანართი

კონვენციის ხელმოწერისას ან რატიფიცირების, მიღების ინსტრუმენტის დეპონირებისას ბელგიას შეუძლია განაცხადოს, რომ იგი იტოვებს უფლებას კონვენციის მასშტაბიდან 3 წლის პერიოდით გამორიცხოს ავტოსატრანსპორტო საშუალების მატრიალური ზიანი, მის მიმართ კონვენციის ძალაში შესვლის თარიღიდან